პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 19 დეკემბერი № 291 (17636)

ფასი 2 კაპ.

დიდ დაფასებას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ

ბიბლიოთეკა

ასეთია ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელთა გულისთქმა

წინსვლის წყარო

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სასიხარულო მოლოცვა, რომელიც მთელმა საქართველომ გულით აღიქვა, უწინარეს ყოვლისა უხვი მოსავლისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებმა დაიმსახურეს. ჩვენდა საამაყოდ, ოქუმელი კოლმეურნეებიც შრომითს მეტოქეობაში დაწინაურებელთა შორის ვართ. სწორედ ჩვენი თაოსნობით გაჩაღდა აფხაზეთში სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეთა შორის დევიზით: „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“! ოქუმელებმა, როგორც ინიციატორს შეშვენის, უკვე სოფლის მეურნეობის 9 ძირითად დარგში შევასრულეთ ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ვშრომობთ.

ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია, ხოლო ჩაის მოსავლიანობის ჩვენმა ჰექტარობრივმა მაჩვენებელმა 14 ტონას მიაღწია, რითაც რაიონში პირველ ადგილზე ვართ. ბრიგადა ასევე პირველობს ჩაის ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლების საქმეშიც. ჩვენ მიერ დამზადებული ჩაის 93 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

თითოეულ კოლმეურნეზე, ახალგაზრდასა და მოხუცზე კოლმეურნეობის ზრუნვის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება ოქუმის სინამდვილიდან, რაც საბოლოო ჯამში ადამიანებს განუმტკიცებს რწმენას, რომ საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებისათვის ზრუნვა — ეს თითოეულის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა. აი სწორედ ეს არის ჩვენი წინსვლის წყარო, რომელიც წლითწლობით მატულობს.

ხ. ფონია,
გალის რაიონის ოქუმის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

● ●

ახალი შემართებით!

ზრმა დაგვიფასდა და მერე როგორ! ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულში ჩამწვდომმა მოლოცვამ ყველა აოგვიათრთოვანა. გახარებული ვართ მეცატრუსეებიც. საქართველოს მშრომელთა წარმატებებში ხომ ჩვენც მიგვიძღვის წვლილი. აჭარელ მეცატრუსეებს ადრე ნაკისრ ვალდებულებით 130 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი უნდა მოგვეკრიფა. ეს მიჯნა უკვე გადავლახეთ და ახლა ვიღვწოთ, რომ სეზონის ბოლოსთვის 170 ათასი ტონა ციტრუსი მოვკრიფოთ.

ბარაქიანია ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღები. ამის მტკიცელი დადასტურება ჩვენი შრომითი მაჩვენებლებია, მაგრამ რამდენი ვიშრომეთ ამ გამარჯვებისათვის! ჩვეულებრივ ამ დროს იტყვიან ხოლმე, ამას დროული და გეგმაზომიერი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით მივაღწიეთო, მაგრამ ჩემი ბრიგადის მშრომელთა სახელით შემიძლია ვთქვა, რომ თუნდაც არც ეს არის საკმარისი უხვი მოსავლის მისაღებად. მეცატრუსეები ჩვენს ბაღებში ყოველ ხეს კარგად ვიცნობთ. ვიცით მისი ასაკი, შესაძლებლობა, ვითვალისწინებთ გარკვეულ უბანს, ნიადაგს, ყოველივე ამის გამო ისიც კარგად ვიცით, როგორ მოვუაროთ თითოეული მანდარინის, ფორთოხლისა თუ ლიმონის ხეს. ამგვარ შრომას შესაბამისი შედეგიც მოაქვს. ჩვენს ბრიგადას წლეულს 240 ტონა ციტრუსი უნდა მოეკრიფა. უკვე მოვკრიფეთ 400 ტონა და კიდევ გვაქვს 40 ტონის იმედი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის ორმაგ მოსავალს მივიღებთ, ჰექტარობრივი მოსავლიანობა 25 ტონას გადააჭარბებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოლოცვას ახალი შრომითი თავდადებით ვუპასუხებთ, წარმატებით დავამთავრებთ სამეურნეო წელს. დროულად შევფუთავთ და მოსალოდნელი ყინვებისაგან ყოველგვარი საშუალებით დავიცავთ სუბტროპიკულ ბაღებს. აქედანვე შევემზადებით, რომ გაისად უფრო მეტი მოსავალი მივიღოთ. ამით კარგად დავამთავრებთ მეათე ხუთწლედს და დავიწყებთ მეთერთმეტეს — უფრო დიადსა და მნიშვნელოვან ხუთწლედს. ასე რომ იქნება ამის საუკეთესო დასტურია წინა პერიოდები. ჩვენმა ქვეყანამ რომ გაიარა შრომითი ხუთწლედებით.

მ. მიქელაძე,
ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

● ●

ღღევანდელზე უკეთ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებისაგან ჩვენი მიწათმოქმედების ღირსეული ჯილდოა მოპოვებული წარმატებებისათვის! მართლაც, წელს მათ სახელოვნად იშრომეს — მოიწიეს რეკორდული რაოდენობის ყურძენი და ჩაი, გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოსავლის აღების დავალება.

ვერ იტყვი, რომ ეს შედეგები ადვილადაა მიღწეული. წელი მაღალი ოსტატობის გამოცდად იქცა. ჩვენმა მიწათმოქმედებმა დაძლიეს ამინდის ჭირვეულობა და ღირსეულად ჩაბარეს ეს გამოცდა.

მიხარია, რომ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვის შრომასაც ასეთი მაღალი შეფასება მიეცა. მე თვითონვე კმაყოფილი ვარ ჩემი მუშაობის შედეგებით. დამამზადებელ პუნქტში ჩავაბარე 98,7 ტონა ნედლეული. სულ ამ სეზონში მანქანა „საქართველოთი“ გეგმით გათვალისწინებული 561 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 569 ტონა ჩაი. გადავწყვიტე 1980 წელს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დავამზადო.

ამჟამად, როცა მოსავალი აღებულია, თითქოს დასვენება შეიძლება. მაგრამ მიწა არ იცდის, მოუფლელად რომ დატოვო, მომავალი მოსავლისათვის საფუძველი არ შექმნა, სულ წყალში ჩაიყრება მთელი შრომა, გაუარესდება ფოთლის ხარისხი.

ამიტომ მე და ჩემი ამხანაგები ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გაისად მოვიწოთო ისეთი მოსავალი, მიწათმოქმედის მაღალ წოდებას რომ შეეფერება. ამისათვის ვაწესრიგებთ ტექნიკას, პლანტაციებს, კარტოგრამის შესაბამისად შეგვაქვს საჭირო რაოდენობის მინერალური სასუქები, ვსხლავთ ბუჩქებს. სრული სვლით მიმდინარეობს ახალგაზრდა პლანტაციების გაშენება. მთელი ეს მოსამზადებელი ღონისძიებანი დუყის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სრულდება.

ა. სებისკვერაძე,
ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეთა რგოლის მერგოლური, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

სურათზე: საქართველოს სსრ მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მიტინგი ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

იზრდება რესპუბლიკის როლი საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში

საქართველოს სსრ მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მიტინგი

„გამოთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც ჩინებულ შედეგებს მიაღწევენ ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოებაში და საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში ამაღლებენ საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მწარმოებლის როლს“.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, ყველა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების ეს სიტყვები საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც მიეძღვნა ასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის 1979 წლის ვალდებულების შესრულებას, აღიქვეს როგორც განწესი, რომ დალაშქრონ ახალი მაღალი მიჯნები სამშობლოს საკეთილდღეო, აღმშენებლობითი შრომით.

მიტინგზე ყველა გამოსვლაში გამოთქმული იყო მისწრაფება და მზაღყოფნა, რომ საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი მამობრივი ზრუნვის პასუხად მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი გადააქციონ დამკვრელური მუშაობის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობის წლად.

18 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავეები, მეცნიერები, პარტიელი, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ნ. ა. ჭითანავა, ქ. ქ. შარტავა.

საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

დიდი აღმავლობით, შეკრებილთა ტაშის გრიალში სიტყვა პრეზიდიუმში აიჩრიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ეს მოლოცვა ლოგიკური გაგრძელებაა იმ მაღალი შეფასებისა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე მიეცა ჩვენთვის. საგულისხმოა, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ასეთი შეფასება პირველად მოგვეცა, და იგი ფრთას ასხამს რესპუბლიკის ყველა მიწათმოქმედსა და მეცხოველეს წლის წარმატებით დამთავრებისათვის. ამ წარმატებებს, სოფლის მშრომელთა ხუთწლედის მეოთხე წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ იყო ლაპარაკი გამარჯვების შრომითს პატაკში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

და აი ახლა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მოსკოვიდან მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა ყველას, ვინც თავისი წვლილი შემატა ამ შესანიშნავ გამარჯვებას.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დავალებით წაიკითხა ამ მოლოცვის ტექსტი.

ვგრნებ, საყოველთაო აზრს გამოვთქვამ, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მიტინგზე შეკრებილი ყველა ამხანაგის, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის საერთო გრძნობებს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თბილი, გულითადი სიტყვები აღფრთოვანებს საბჭოთა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს, აღგვივსებს გულს სიამაყით, მოხდილი ვალის შეგნებით, გვასახავს თითოეულს იმის მტკიცე რწმენას, რომ დამდეგი 1980 წლის დავალებანი, ისევე როგორც მთელი ხუთწლედის დავალებანი; ხარეს შეისახამს კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვაში მაღალი შეფასება ეძლევა მიღწეულს, და ამავე დროს იგი სახავს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე ახალი წარმატებების მოსაპოვებლად შემდგომი ბრძოლის პროგრამას. ეს კი ნიშნავს, რომ ხვალაც და თვალსაწიერ მომავალშიც საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც საქმით უპასუხებენ პარტიის მამაშვილურ ზრუნვას, კიდევ უფრო მნიშვნელოვან მიღწევებს მოიპოვებენ, კიდევ უფრო საგრძნობ წვლილს შემატებენ საერთო-საკავშირო დოვლათს.

რესპუბლიკის მშრომელებს ამას ავალებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღებიანი, გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულება ჩვენი საჭიროებებისადმი. ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1972 წლიდან, როცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული დადგენილებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია რესპუბლიკას, რომელიც პარტიული ცხოვრებისა ლენინური ნორმებისაგან და სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისაგან ერთგვარი გადახრის შედეგად ჩამორჩენილთა რიცხვში აღმოჩნდა. ეს მზრუნველობა გამოვლინდა 1974 წელსაც, როცა მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარების შესახებ, 1976 წელსაც, როცა მიღებული იქნა დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე, რესპუბლიკის მშრომელთა საჭიროებებისა და მოსწრაფებებისადმი. ეს ყურადღება არაერთგზის გვიგრძვნია, როცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სხვა საკავშირო ორგანოებს მიღიათ დადგენილებანი და გაუკეთიათ განკარგულებანი რესპუბლიკის ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის განვითარების შესახებ.

დიდი შრომითი აღმავლობა, მაღალი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, რაც ჩვენს რესპუბლიკას ამ ბოლო წლებში ახასიათებს, შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელი განუხრელად ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებებს ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე.

საქართველოს მშრომელებისათვის ჟეშმარიტად ლენინური ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. იგი ჩვენთვის გახდება უმნიშვნელოვანესი, ნიშანსვეტი მომდინარე საუკუნის ოთხმოციან წლებში პარტიის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების გზაზე. ხოლო მისი რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, კიდევ უფრო საგრძნობი გავხადოთ საქართველოს მონაწილეობა საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში.

ასრულებს რა 1979 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაძაბულ გეგმებსა და კიდევ უფრო მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს, რესპუბლიკამ მთლიანად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა ხუთწლედის ოთხი წლის დავალება, ხოლო ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მიხედვით მეათე ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრულ მოცულობასაც მიაღწია.

ხუთწლედის დამდეგიდან მწარმოებელთა და მეცხოველეთა მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა მიმდინარე წლის დამლევისათვის შეადგენს 7,9 მილიარდ მანეთს 7,5 მილიარდი მანეთის ნაცვლად, ანუ გეგმის 105 პროცენტს. ამასთან მიღწეული მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მატება იმან განაპირობა, რომ საშუალო წლიური მთლიანი წარმოების მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით თითქმის 32 პროცენტით გაიზარდა მთლიანად მეათე ხუთწლედისათვის გათვალისწინებული 29 პროცენტის ნაცვლად.

ნიშანდობლივია, რომ ამ წლებში შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში ამაღლდა საქართველოს სს რესპუბლიკის, როგორც სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების მიმწოდებლის როლი. ამავე დროს კიდევ უფრო განვითარდა სოფლის მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის, კურორტებისა და ტურისტული ცენტრების მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფოს მიეყიდა გაცილებით მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი და ციტრუსი, ბოსტნეული, კარტოფილი, ხორცი, რძე, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, ვიდრე მთელი მეცხრე ხუთწლედის განმავლობაში.

1979 წელს რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითადი, მაპროფილებელი დარგების პროდუქციის მიყიდვის რეკორდულ დონეს მიაღწიეს.

ეს ჩვენს მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა მართლაც რომ დიდი გამარჯვება, ჟეშმარიტად შესანიშნავი მიღწევაა.

ოთხი წლის მანძილზე წარმოებულია და გადამმუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა მილიონ 650 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხუთწლიან დავალებაზე 335 ათასი ტონით მეტი. წელს მათ მოსავლის რეკორდულ მიჯნას მიაღწიეს: მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩაბარეს 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ დონეს.

და დღეს, როცა მოპოვებულ გამარჯვებაში მეჩაიეობის ყველა რაიონის მშრომელთა მიერ შეტანილ წვლილზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის დიდი და მიზანდასახული მუშაობა, ამ გამარჯვების მისაღწევად რომ გასწიეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხობის, სამტრედიისა და სხვა რაიონების, ქალაქების წყალტუბოს, ტყიბულისა და ჭიათურის ზონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა.

ჩვენ სამადლობელი სიტყვებით მივმართავთ ყველა მეჩაიეს, მექანიზატორს, სპეციალისტს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ მუშაკს, ადამიანთა ციტრუსი უნდა მოეკრიფა. უკვე მოვკრიფეთ 400 ტონა და კიდევ გვაქვს 40 ტონის იმედი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის ორმაგ მოსავალს მივიღებთ, ჰექტარობრივი მოსავლიანობა 25 ტონას გადააჭარბებს.

(დასასრული მე-2 გვ.).

ქართული მიწის ბარაქა.

მხატვარ თ. სამსონაძის პლაკატი.

ფლის ფინიშამდე დარჩა 13 დღე

● ●

ოპერატიული ცნობები

მახარაძე. (საკ. კორ.). ურეკის მეციტრუსეობის სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობის სახელოვანმა კოლექტივმა უკვე შეასრულა მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულება. აქ 1300 ტონის ნაცვლად 1360 ტონა ციტრუსი მოკრიფეს, რითაც გადამეტებით შესრულდა აგრეთვე ხუთწლედის დავალება.

ეს წარმატება მოწმენილი მეციტრუსეებისა და სპეციალისტების — ა. ჭელიძის, ბრიგადირების გ. დოლიძის, ი. თავაძის, რ. ხინთიბიძის, მოშვების კ. ანჩერბაძის, ნ. ნავაულტრის, კ. ვადაჭკორიას, ლ. კავთიშვილის, ვ. ბესარომის, რ. აგაჯანიანის, ა. დვალიშვილის, ლ. დენანიშვილის, ა. ჭუჭჩიშვილის და სხვების თავდადებული გარჯის ნაყოფია.

ურეკისმა მეციტრუსეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს წლეულს მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაამზადონ სულ ცოტა 1000 ტონა ციტრუსი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეურნეობის მთელი კოლექტივია დარაზმული. „ოქროს რთველში“ ჭიოზეი ციცი გამოდის, რათა დროზე დაბინავდეს წლის მოსავალი.

ამ საქმეში, გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ვ. თავაძემ, მეციტრუსეებს დიდად დაეხმარნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

დავალება შეასრულეს

აგრონომ ზ. წიოლსანის, ბრიგადირების გ. დოლიძის, ი. თავაძის, რ. ხინთიბიძის, მოშვების კ. ანჩერბაძის, ნ. ნავაულტრის, კ. ვადაჭკორიას, ლ. კავთიშვილის, ვ. ბესარომის, რ. აგაჯანიანის, ა. დვალიშვილის, ლ.

საარჩევნო კამპანიის ღირშესანიშნავი ეტაპი

19 დეკემბერს ქვეყანაში იწყება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ეს საკითხისა კორესპონდენტებს აცნობეს რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სხვა რესპუბლიკების სახელმწიფოო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში.

როგორც უმაღლესი საბჭოების არჩევნების კანონებით არის გათვალისწინებული, დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება დაიწყება არჩევნების დანიშვნიდან მეათე დღეს. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება უნდა დამთავრდეს 30 დღით ადრე არჩევნებამდე, რომელი ბიც, როგორც ცნობილია ყველა რესპუბლიკაში 24 თებერვალს გაიმართება.

იზრდება რესპუბლიკის როლი საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში

(დასასრული)

მუშაობილი მრეწველობის მუშაკს, ყველას, ვინც თავისი ამაგი დასდო ბრწყინვალე გამარჯვებას, ხარისხოვანი ჩაის თოთლის რეკორდული მოსავლის მიღებას.

ჭირვეული გაზაფხულის, გვალვიანი ზაფხულის ძნელ პირობებში კარგად ირჯებოდნენ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც მთელ თავიანთ სიყვარულს აქსოვდნენ ვაზს, ახმაურნენ მთელ თავიანთ გამოკვლევებსა და ცოდნას, იყენებდნენ მოწინავე აგროტექნიკის უახლეს ხერხებს. სახელოვან ქართველ მეენახეთა გარჯა წარმატებით დაგვირგვინდა — სამშობლომ მიიღო რეკორდული რაოდენობის მაღალხარისხოვანი ყურძენი — 577 ათასი ტონა.

ჭეშმარიტ კმაყოფილებას მანიჭებს მადლობით მოვიხსენიო თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს, თერჯოლის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ლაგოდეხის, ბოლნისის, ცხეთის, კასპის, ორჯონიკიძის, ცაგერის, გორის, ამბროლაურის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების შესანიშნავი მევენახენი, სპეციალისტები, მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს დარგის განვითარებაში წამყვანი რაიონების — გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების მევენახეთა გარჯა, რომლებმაც, მართალია, ვერ გაანაღდეს დამზადების წლევანდელი გეგმა, მაგრამ მთლიანად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთო-რესპუბლიკურ მიღწევას.

წარმატებით გაისარჯნენ რესპუბლიკის მეხილეები. ხუთწლედის დამდეგიდან მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 2 მილიონ 100 ათასი ტონა კურკოვანი, თესლოვანი ხილი და ციტრუსი და საგეგმო დავალებას 189 ათასი ტონით გადაჭარბეს. მიმდინარე წელს უკვე დამზადებულია 585 ათასი ტონა, ანუ გეგმაზე 4 ათასი ტონით მეტი. ხილის კრეფა და დამზადება გრძელდება და სეზონის დამდეგამდე სახელმწიფოს კიდევ 100 ათას ტონას მიჰყიდიან.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად მეციტრუსეებს, რომლებმაც უკვე გაანაღდეს ხუთწლიანი დავალება და წელს წარმოების არნახულ დონეს მიაღწევენ: სახელმწიფოს მიჰყიდიან 260 ათას ტონაზე მეტ ციტრუსს.

დღეს მინდა გულითადად მივულოცო სახელოვან ქართველ მეციტრუსეებს რეკორდული მიღწევა და უდიდესი მადლობა გადავუხადო მათ ჭეშმარიტად გმირული გარჯისათვის. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და მეციტრუსეების ნაყოფიერი მუშაობა, რომლებმაც უზრუნველყვეს ციტრუსის დამზადების მთელი რესპუბლიკური გეგმის შესრულება, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობისა და სხვა რაიონების მეციტრუსეთა გარჯა, რომლებმაც უზვი მოსავალი მოიწიეს.

1979 წლის აღორძინება საერთოდ ქარგად დაამთავრეს აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, მარნეულის, მცხეთის, ვანის, ცაგერის, ჩოხატაურის, ბოლნისის, ადიგენის, სამტრედიისა და სხვა რაიონების, ქ. წყალტუბოს ზონის მეხილეებმა.

სერიოზული სიძნელეებიდ დაძლევა მოუხდათ წელს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს. მაგრამ სიღნაღის, მარნეულის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, გარდაბნის, გორის, ქარელის, აბაშის, ხობისა და სხვა რაიონების მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკამ მათი გარჯის წყალობით უზრუნველყო მარცვლეულის დამზადების გეგმის ადაჭარბებით შესრულება. სახელმწიფოს ბიოლებს ჩაბარდა 167 ათასი ტონა, რაც გეგმის 101,2 პროცენტს შეადგენს. ხოლო მთლიანად ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე სახელმწიფოს მიეყიდა 695 ათასი ტონა მარცვლეული, დავალებაზე 125 ათასი ტონით მეტი.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი მეგოსტნეები და მეკარტოფილეები. სადღეისოდ გადაჭარბებით არის შესრულებული, კერძოდ, სახელმწიფოსათვის ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მიყიდვის ოთხი წლის პროგრამა. თუმცა ბოსტნეულის დამზადება ჯერ კიდევ გრძელდება, წელს პირველად მივაღწევთ სახელმწიფოსათვის 325 ათასი ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეულის მიყიდვის დონეს.

იმ რაიონებს შორის, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ბოსტნეულის დამზადების გეგმები, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მარნეულის, ლაგოდეხის, კასპის, სამტრედიის, ვანის, აბაშისა და სხვა რაიონები, აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკა.

ზრდიან პროდუქციის წარმოებას მეკარტოფილეებიც. ოთხი წლის მანძილზე მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 570 ათასი ტონა კარტოფილი დავალებით გათვალისწინებული 445 ათასი ტონის ნაცვლად. მიმდინარე წელს სახელმწიფო შესყიდვამ საგეგმო 155 ათასი ტონის ნაცვლად შეადგინა 186 ათასი ტონა, აქედან საადრეო კარტოფილისამ — 108 ათასი ტონა. ამ დიდ წარმატებაში თვალსაჩინო როლი მიუძღვით ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეკარტოფილეებს, რომლებმაც უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე შეძლეს ისე დაეყენებინათ საქმე, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ტრადიციულ პროდუქციასთან ერთად ახლა მოსკოვსა და ლენინგრადს ისეთ ძვირფას სასურსათო პროდუქტებსაც აწვდის, როგორიც საადრეო კარტოფილია. კარგად გაისარჯნენ აგრეთვე ახალქალაქის, წალკის, თეთრი წყაროს, გარდაბნისა და ბოგდანოვკის რაიონების მეკარტოფილეები.

საერთოდ რესპუბლიკის მიწათმოქმედნი წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე წელს. აქ სათითაოდ ვერ ჩამოვთვლით ყველას, ვინც თავისი საგრძნობი წვლილი შეიტანა საერთო წარმატებას. მათთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის. ვუსურვებთ ამ მშრომელებს კიდევ უფრო შთამბეჭდავი მიღწევები მოეპოვებინოთ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს და მომდევნო წლებში ჩვენი სამშობლოს სადიდებლად და ასაყვავებლად.

მეათე ხუთწლედის გეგმების უცილობელი შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ჩვენი მეცხოველეებიც. წარმატებით შესრულდა რძისა და მატყლის დამზადების ოთხი წლის გეგმა. ყველა წანამძღვარი გვაქვს იმისა, რომ წლის დამდეგამდე მეცხოველეობის ყველა პროდუქტის დამზადების გეგმები შესრულდება. საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეცხოველეობა წინა წლებზე უკეთ არის უზრუნველყოფილი საკვებით, რაც პირუტყვის ჯარმატებით გამოზამთრებისა და პროდუქტიულობის საკმაოდ მაღალი დონის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა.

იმ რაიონებს შორის, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ამთავრებენ მიმდინარე წელს მეცხოველეობაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ბოგდანოვკის, გარდაბნის, მარნეულის, ყაზბეგის, ლენინგორის, მახარაძის, აბაშის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონები და ქ. ბაგრის ზონა.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ყველგან საბრძოლო ამოცანად აღიქვეს ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე გამოთქმული მითითება ქვეყანაში ხორცის წარმოების გადიდების და ხორცითა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მკვეთრი გაუმჯობესების მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ. ახლა რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოგვდის ცნობები, რომ ჩვენი მეცხოველეები საქმიანად, კონკრეტულად უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის მეცხოველეობის მუშაკთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ“. ახლა განსაკუთრებით საჭიროა აქ შევანელოთ მუშაობის დაძაბული რიტმი, გადმოვიღოთ ყოველივე საუკეთესო, რასაც მეცნიერება და მოწინავე პრაქტიკა გვთავაზობენ არსებული საკვები რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისათვის. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ვიქონიოთ იმის იმედი, რომ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ მეცხოველეობის განვითარებაში და ღირსეულ ადგილს დავიკავებთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა:

წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების დღევანდელ შეჯამებას მთლად ჩვეულებრივს ვერ ვუწოდებთ. აქ არა გვაქვს შესაძლებლობა სრულად გავაშუქოთ მთელი ანალიზური მასალა და გავადევნოთ თვალი იმას, თუ როგორ იქედოდა ეს შრომითი გამარჯვება. მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ყანების, ბაღ-ვენახებისა და ფერმების მრავალი ათასი მშრომელის გმირულ გარჯაზე გამრავლებულმა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელმა კომპლექსმა განაპირობა ისეთი მდგომარეობა, რომელიც სრულიად საფუძვლიანად გვათქმევინებს:

— დიდება ჩვენს მეჩაიეებს, მევენახეებს, მეხილეებს და მეციტრუსეებს, მხვნელ-მთესველებს, მებოსტნეებს, მეკარტოფილეებს, მეცხოველეებს! დიდება მომიჯნავე დარგების მუშაკებს, დიდება ყველას, ვინც წლევანდელი ძაძაბული გეგმების რეალიზაციას უზრუნველყოფდა და საათანადო ბაზას უქმნიდა ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას! დიდება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელროშოვანი სასაზღვრო ოლქის მეომრებს!

პარტია გვასწავლის არ დავსჯერდეთ მიღწეულს, ვიმუშაოთ უკეთ, მეტი ეფექტიანობით, მეტი უკუგებით. ჩვენ დიდი მუშაობა მოგვიწევს და ეს უაღრესად მკაფიოდ არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ პრობლემების შესახებ დაწვრილებით ვილაპარაკეთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამსწრნდიდ კრებაზე, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების შესრულების გზებისა და შესაძლებლობების განხილვას მიეძღვნა.

უწინარეს ყოვლისა, უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ მარცვლეულის, ხილის, თამბაქოს, ყურძნის, ხორცის, კვერცხის წარმოების გეგმების შესრულების ერთგვარი ჩამორჩენის ლიკვიდაციას. ამისათვის კი საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის განუწყვეტელი ზრდა, გავაძლიეროთ კოლეთის დაღლობის დამრობისა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების ტემპი, განვახორციელოთ მიწების რწყვისა და მაღალი მოსავლის და მთის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ძირეული გაუმჯობესების ფართო პროგრამა, აღვკვეთოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და გადამუშავებას შორის არსებული დისპროპორცია. შევქმნათ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის მიღების, დახარისხებისა და შენახვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გავაღრმაოთ სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, დავაჩქაროთ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მიტინგის მონაწილეებს, რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს სახელით უსაზღვრო მადლობა უძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სოფლის მეურნეობის დარგში რესპუბლიკის მიღწეულთა მაღალი შეფასებისათვის და ამისათვის, რომ დღენიადაგ ზრუნავენ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობაზე, აღუთქვეს, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს შეხვდებიან დიდი შრომითი წარმატებებით, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს აღნიშნავენ კომუნისტური მშენებლობის ახალი მიღწევებით.

ტაშის გრიალში მიტინგის მონაწილეებმა გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

(საქინფორმი).

ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის

ბოლოს ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, ბოლოს ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის! ეს ლოზუნგი ამ ბრძოლის ... ეფექტიანობისა და ხარისხისათვის! ... ეფექტიანობისა და ხარისხისათვის! ... ეფექტიანობისა და ხარისხისათვის!

დიდ დავალებას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ

ასეთია ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელთა გულისთქმა

ერეკონელი



მათ გარჯით ისახელეს თავი

ბორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი არსენ ღოლიჯაშვილი და მწველავი, სოციალისტურ შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი (წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობა) სოფლის მშრომელთა შეჯიბრების მოწინავენი არიან.

სიტყვას ვაძლევთ მოწინავეებს

მეზვრის საზრუნავი

ჩვენი კოლმეურნეობის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელმაც საქართველოს მშრომელებს მოულოცა შესანიშნავი წარმატება — ჩაის, ყურძნის, მარცვლეულის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ქართველ მევენახეთა წარმატებაც აღნიშნა.

ამ სეზონში ჩვენმა ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს medaლი მიენიჭა, განამტკიცა შარშანდელი წარმატება: ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 150 ცენტნერი ყურძენი, ხოლო რაიონმა — 44 ათასი ტონა ყურძენი, რაც 4 ათასი ტონით აღემატება დაგეგმილს.

ამჟამად კოლმეურნეობაში 1980 წლის მოსავლისათვის შეჯიბრება მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის ღირსეული შეხვედრის ნიშნით. ჩავებით რა 1980 წლის ყურძნის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში, პირობა დავდეთ, რომ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოვაწყობთ ვენახებში ზამთარ-გაზაფხულის სამუშაოთა მთელ კომპლექსს, გავაშენებთ რაიონში 780 ჰექტარ ახალ ვენახს და ყველა მათგანს უხვმოსავლიანს გავხდით.

შ. ჭაბაშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

გულდაგულ ვემზადებით

შრომის კარგი შედეგი, უდავოდ, დიდ სიხარულს ანიჭებს ადამიანს, მაგრამ, როცა შრომა საყოველთაო აღიარებას პოულობს, მაშინ სიხარული განსაკუთრებულია. ჩვენი რესპუბლიკის ადამიანების კეთილი საქმიანობის ნათელი აღიარებაა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვა, რაც თავისთავად ჩვენი წარმატებების მაღალი შეფასებაა. ამ წარმატებებში ვხედავ ჩემი რაიონის, სოფლის, ბრიგადის თითოეული წევრის ღვაწლს. მეამაყება, რომ ამმეტის რაიონმა წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული 36.500 ტონის ნაცვლად 47212 ტონა ყურძენი მოიწია. ამით ხუთწლედის წინა სამ წელიწადში არსებული ჩამორჩენა მთლიანად დავფარეთ.

თითოეული ჩვენებური მშრომელი იმისათვის ვიბრძვითო, რომ მეათე ხუთწლედი მეთერთმეტე ხუთწლედის მტკიცე დასაყრდენი გახდეს. ამ დიდ საქმეში ვმონაწილეობთ ჩვენც, ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხრე ბრიგადის მეზვრეები. ჩვენ ხომ ამთავითვე წარმატებით დავიწყეთ ხუთწლედი და ყოველწლიურად უფრო მეტი მოსავალი მოგვყავს. მარტო წლეულს ვალდებულება ვიკისრეთ 38 ჰექტარ ვენახში 280 ტონა ყურძენი მიგვეღო. წარსული გვალვიანი ზაფხულის პირობებში თითქოს სათუო იყო ამის მიღწევა, მაგრამ სისხამდილიდან დაბინდებამდე ზვარში ტრიალმა სასარგებლო შედეგი გამოიღო. მაღალი ჰექტარობრივი მოსავლიანობა გვქონდა და 504 ტონა ყურძენი მოვიწიეთ, რაც გეგმის 198 პროცენტია.

დღეისათვის უკვე მოვამთავრეთ საშემოდგომო სამუშაოები. ვენახებში შევიტანეთ ფოსფორიანი სასუქები და აქედანვე გულდაგულ ვემზადებით, რომ გაისად უფრო მეტი ყურძენი მოვიწიოთ, ისიც ვიცით, რომ უფრო მეტი გარჯა გვმართებს. ახალშენი ვენახები გვაქვს. წლეულს თუ 38 ჰექტარი იყო მსხმოიარე, გაისად 60-მდე იქნება. სიმართლე გითხრათ, მეზვრის სიხარულიც ეს არის. ოღონდაც კარგად გამართული ვენახი ჰქონდეს ჩვენებურ კაცსა და დანარჩენი თვითონ იცის. მით უმეტეს, როცა შენს შრომას კიდევაც ხედავენ და კიდევაც აფასებენ.

ს. საკაკაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

დამლოცვენ, მოვეგონები

ძნელია ერთი სიტყვით გამოხატო ის აღტაცება, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გულმხურვალე მოლოცვა იწვევს, — დიახ, არ ეტევა სიტყვაში ის დიდი მადლობის გრძნობაც, დიდი სიხარულიც, დიდი პატრიოტული სიამაყეც, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, როცა ეთერში პირველად გავიგონეთ ცნობა იმის თაობაზე, რომ ჩვენმა გამორჯვებულმა რესპუბლიკამ აჯერადაც გადაჭარბებით შეასრულა გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი...

ბრძენმა რუსთაველმა საქვეყნო სიკეთის საქმეზედ და შესამკობად, თავის ავთანდილს ათქმევინა: მიდგწიან , მომიგონებენ, დამლოცავენ, მოვეგონები... დღეს საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშას, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელსა და სპეციალისტს, სიკეთისა და სიცოცხლის ყველა მთესველს, დამრგველსა და მომვლელს შეუძლია ამაყად გაიმეოროს პოეტის ეს სიტყვები, რადგანაც ღვაწლს ისე არაფერი ამშვენებს, როგორც დალოცვა, გამხნევება, წახალისება...

პირადი შრომა ერთვის დიდ საერო საქმეს, კომუნიზმის ასაშენებლად, რომ მისი შრომა აუცილებელია ჩვენი სამშობლოს ეთილდღეობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად საჭიროა გავაძლიერთ მასების შრომითი აქტიურობა, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, მიზნად დავუსახოთ მას თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ყოველმხრივ დაუჭიროთ მხარი და გავავრცელოთ მოწინავე გამოცდილება, რომელიც ფართო გასაქანს აძლევს და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

სად არის ამ დიდ შემოქმედებითს შრომაში მწერლის ადგილი, როგორია აქ მისი როლი? ზემოთ ჩვენ მატერიალური და მორალური სტიმულები ვახსენეთ, არაერთგზის აღნიშნულა მათი განუზომელი როლი ახლის შენების პროცესში. ცხადია, კარგად უნდა გვესმოდეს მატერიალური ინტერესების პირველადობა, მატერიალური და მორალური სტიმულების ურთიერთშეფარდება. გავიხსენოთ დიდი ლენინის სიტყვები: „უპირატესობის მინიჭება დამკვრელობაში გულისხმობს უპირატესობის მინიჭებას მოხმარების სფეროში. უამისოდ დამკვრელობა ოცნებაა, ღრუბლის ქულაა, ჩვენ კი რაც უნდა იყოს, მატერიალისტები ვართ“. მაგრამ ლენინი იმასაც გვასწავლის, რომ ეს მატერიალიზმი ხელს არ გვაშლის, პირიქით, სტიმულს გვაძლევს ვიყოთ რომანტიკოსები, ვიყოთ მოცნებენიც და მაღალი იდეალების მოტრფიალენიც. სწორედ აქ იწყება ის მორალური ატმოსფერო, მორალური კლიმატი, სადაც მწერალს ეძლევა უფართოესი ასპარეზი სამოქმედოდ, სადაც მოქმედებას იწყებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესთეტიკური სტიმულიც. შემოქმედის კერაზე ცეცხლი არასოდეს არ უნდა გაქრეს და მისი კერის სითბო უნდა გადაედებოდეს ადამიანის სულს, აღანთებდეს მას სამოქმედოდ. აი აქ არის მწერლის, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სამუშაო დაზგაც, ის უნდა წარმართავდეს მორალურ ატმოსფეროს, ადამიანების იმ გულითად ურთიერთობას, რომელიც სუფევს შრომითს კოლექტივში.

ქართული მწერლობა მუდამ თავის ხალხთან იყო და ახლაც მასთან არის იმ დიდ შრომაში, რომელიც ამჟამად საქართველოს მიწაზე არის გაჩაღებული. მწერალი დგას ამ მშრომელთა, მეფოლადეთა და მევენახეთა, მხვნელ-მთესველთა და მეჩაიეთა გვერდით, მათთან მხარდამხარ, როგორც მუდამ. ამიტომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მილოცვა და მისალმება მასაც ეკუთვნის, ეს გულის სითბო მის მუშაობასაც, მის შრომასაც ახალ ხალისს მატებს, ახალ შუქსა და მადლსა ჰფენს.

ახალი ღვაწლისათვის, ახალი გმირობისათვის არის შემართული დღეს საქართველო და ეს არის უმტკიცესი საწინდარი იმისა, რომ იგი კვლავ გოლიათის ნაბიჯებით წავა წინ ნათელი მომავლისაკენ.

გიორგი ნატროშვილი.

მეგობართა ხმა

გულით გილოცავთ

ფლითიფლოგით სულ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ საქართველოს მშრომელები. ეს ჩვენც გულით გვახარებს. აბა, იმაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს, როცა კარის მეზობელი და მეგობარი ძლიერი გაჟავს. უკვე კარგა ხანია ჩვენი რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული წითელწყაროს რაიონთან და არა მარტო თვალყურს ვადევნებთ ერთმანეთის საქმიანობას, არამედ ვეხმარებით კიდეც ერთმანეთს სირთულეების დაძლევაში.

ამიტომაც იყო, რომ აღტაცებით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვას საქართველოს მშრომელებისადმი, რაც თქვენი მთელი წლის გარჯის დიდი აღიარებაა.

ზ. ჰასანოვა,

აზერბაიჯანის სსრ ზაქათალის რაიონის სამედ ვურღუნის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

გვახარებს თქვენი წარმატება

სომხეთის მშრომელებს ყოველთვის გვახარებს ცნობა მოძმე საქართველოს რესპუბლიკის ახალი წარმატებების შესახებ. გამარჯვება, რომელიც საქართველოს მშრომელებმა წლეულს მოიპოვეს, დიდი ჯაფის ნაყოფია, გამარჯე ადამიანის ღვაწლი კი ჩვენს ქვეყანაში ღირსეულად ფასდება. თქვენი შრომის დიდი აღიარებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოსალოცი წერილი.

ჩვენ ვამაყობთ იმითაც, რომ საქართველოს მშრომელთა წარმატებებში აქტიური წვლილი შეიქვს ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც უკვე ორმოცი წელიწადია ვეჯიბრებით.

ასეთივე აღიარება ხვდა წილად წლეულს სომხეთის მშრომელთა საქმიანობას. ეს ეს კი გვავალებს უფრო ნაყოფიერად ვიბრძოლოთ მიმდინარე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

გ. დარგინიანი,

სომხეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მათ გარჯით ისახელეს თავი



გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გივი კენკიშვილი.

გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა ციალა ტორუა.

მახარაძის რაიონის ლიხაურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ამირან ტოროტაძე.

ეს საერთო გამარჯვებაა

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, წლევანდელი არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, კარგი მოსავალი მოიწიეს. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ჩაის, ყურძნის, ციტრუსის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმა-ვალდებულებები, არნახული შემართებით იბრძოდნენ უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლისათვის და მიაღწიეს კიდეც სასურველ შედეგს აჭარისა და აფხაზეთის მეჩაიეებმა. შემდეგ კი ბარაქიანი მოსავლით კახელმა მევენახეებმა გაგვახარეს. ისიც იცით, რომ ხუთწლედის მეოთხე წელს ძალზე ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მეცხოველეობის განვითარებისათვის.

აკი დაუფასებიათ კიდეც თავდადებული შრომა ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ისინი ამაყობენ, რომ ეს წარმატება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიულოცა. მან ეს გამარჯვება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად მეურნეობის ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს, დამამზადებელი სატრანსპორტო ორგანიზაციებს და სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებსაც მიულოცა და დამსახურებულადაც.

ალბა ჩვენში იშვიათად თუ მოიძებნება ქარხანა, კომბინატი, საწარმო გაერთიანება, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებული არ იყოს სოფელთან. ბევრი მათგანი უშუალოდ უგზავნის თავის პროდუქციას სოფელს, ზოგი კი იმ საწარმოებს ამარაგებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ამზადებენ.

მათ რიცხვს ჩვენც ვეკუთვნით. დიახ, რუსთაველი მეტალურგები უშვებენ ახლა სპეციალურ ფოლადს, რომელსაც ვერაფერით ვერ შეცვლი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ზოგიერთ დარგში. ამის შესახებ კარგად იციან მეტალურგთა მუდმივმა დამკვეთებმა — ქვეყნის უმსხვილესმა საწარმოებმა როსტოვისა და სიზრანის სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე ხარკოვის სტრაქტორო ქარხნების კოლექტივებმა. რუსთაველი სპეციალური ფოლადისგან, სხვათა შორის, ყველასათვის კარგად ცნობილ „ქომბაინ „ნივას“ ამზადებენ. სოფლის მეურნეობის საწარმოთა დაკვეთებს ჩვენი ქარხნის კოლექტივი, ჩვეულებრივ, ვადამდე ასრულებს. ასე იყო შარშანწინ, შარშან, წელს, ასე იქნება გაისად და ყოველთვის.

გარდა ამისა, ჩვენ შეფობას ვუწევთ გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონების მრავალ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას. ვუგზავნით მათ სხვადასხვა დიამეტრის მილებს, სავენახე მავთულებს, კირს, დოლომიტს და სხვა სამრეწველო ნაწარმს. შეძლებისდაგვარად საშეფო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოსავლის თესვა-აღებაშიც ვეხმარებით ხოლმე.

მე, როგორც მუშათა კლასის და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს არ მინდა მარტო მშობლიურ ქარხანაზე ლაპარაკით შემოვიფარგლო. ჩემი და ჩემი ამხანაგებისათვის, მარტენის საამქროს გავარვარებულ ღუმელებთან რომ დგანან, სულ ერთი როდია, როგორ ასრულებს ამ მოვალეობას ბორცელოება პატარა ... ბრიგადა, ... ტრაქტორი, 426 ათასი მარცვალსაღები კომბაინი, მილიონზე მეტი სატვირთო ავტომობილი, 317 მილიონი ტონა მინერალური სასუქი, 7 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მახქანები. ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად სოფლის მეურნეობის გადაქცევის ტემპს დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ შრომის ენერგოტევადობა 1,4-ჯერ გაიზრდება“.

როგორც ხედავთ, მრეწველობის წვლილი სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების საქმეში ფასდაუდებელია. საქართველოს მეცნიერებსა და სპეციალისტებს სოფლის მეურნეობისათვის ახალი მანქანებისა და აგრეგატების შექმნის დიდი გამოცდილება აქვთ. საქვეყნოდ გახდა ცნობილი რესპუბლიკაში გამოგონებული და დამზადებული ჩაის საკრეფი მანქანა, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, ყურძნის პირველადი გადასამუშავებელი წბერები და მრავალი სხვა. ახლა საჭიროა საწარმოებმა, რომლებიც უშვებენ ამ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სათადარიგო ნაწილებს, სხმულებს, მთელი გული და სული ჩააქსოვონ მინდობილ საქმეს, შეუფერხებლად მიაწოდონ სოფლის მშრომელებს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, ეს მრეწველობის დარგის თითოეული მუშის, ტექნიკოსის, ინჟინრის, კონსტრუქტორის ღირსების საქმეა.

წინ დამკვრელური მეათე ხუთწლედის მიჯნებია. ყველაფერი ვიღონოთ და პირნათელი გამოვიდეთ სამშობლოსა და პარტიის წინაშე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მილოცვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი ახალ ენერგიას შეგვმატებს ყველა ამოცანის გადაჭრაში. გორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის იუბილეს, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

ო. ლომიძე,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იქნება ჩვენი წვლილიც!

დამეთანხმებით, მშრომელი კაცისათვის იმაზე გულგასახარი არაფერია, როდესაც მთელი წლის მანძილზე მუხლჩაუხრელი, მკლავმოუღლელი გარჯით მოწეულ ჭირნახულს დროულად, უდანაკარგო აიღებს, დაბინავებს და, რაც მთავარია, როდესაც ეს შრომა ღირსეულად დაუფასდება.

სწორედ ასეთ სიხარულს განიცდიან ახლა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც შესანიშნავი წარმატებებით თითქმის უკვე დაამთავრეს მიმდინარე სამეურნეო წელი და ამთავითვე ამზადებენ საფუძველს მეათე ხუთწლედის ბოლო წლის უხვი მოსავლისათვის.

მათს ამ დიდ სიხარულს, კანონიერი სიამაყის გრძნობას, პასუხისმგებლობას ჭეშმარიტად ასაკეცებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ის მეტად თბილი სიტყვები, რომლებითაც მან საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს ეს შესანიშნავი წარმატებები მოულოცა და ახალი მიღწევები უსურვა.

ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივს სიამაყით ავსებს იმის შეგრძნება, რომ ამ წარმატებებში მისი წვლილიც არის.

თავად განსაჯეთ! ამ ბოლო წლებში ინსტიტუტმა გამოიყვანა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთგამოცდის სახელმწიფო კომისიამ წლეულს დაარაიონა სიმინდის პირველი მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი „ქართული-9“, შარშან სახელმწიფო ჯიშთგამოცდას გადაეცა სიმინდის ახალი მარტივი ჰიბრიდი „ქართული-52“, რომლის პოტენციური მოსავლიანობა ჰექტარზე 117 ცენტნერია. იგი იუგოსლავიის, რუმინეთის და საფრანგეთის 18 საუკეთესო ჰიბრიდს შორის მოსავლიანობის მიხედვით სამეულშია. სახელმწიფო ჯიშთგამოცდას გადაეცა სიმინდის კიდევ ორი ჰიბრიდი. სიმინდის ახალი უხვმოსავლიანი ჰიბრიდები მომავალ წლებშიც გადაეცემა სოფლის მეურნეობას წარმოებისათვის. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ 2-3 წლის შემდეგ სიმინდის მარტივი ჰიბრიდების თესლი საკმარისი გვექნება.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ თავთავიანებსაც. შარშან სახელმწიფო ჯიშთგამოცდას გადაეცით ორი ჯიშის საშემოდგომო ქერი (პოტენციური ჰექტარობრივი მოსავლიანობა 70 ცენტნერია).

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ქარისმიერი ეროზიის საწინააღმდეგოდ შევიმუშავეთ ნიადაგის დამუშავების მეთოდი, რომელსაც შეუძლია მინიმუმამდე შეამციროს ქარების მავნე მოქმედება. შევიმუშავეთ სამრეწველო საფუძვლებზე ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანის მეტად ეფექტიანი საშუალებაც, რომელიც სახელმწიფოს დიდძალ მოგებას მისცემს, აგრეთვე პამიდორის მექანიზებული წესით აღების სრულყოფილი მეთოდი. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტთან ერთად დავამუშავეთ კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ზონის პირობებისათვის სოიის მოსავლის კომბაინით აღების მეთოდი (კომბაინი „სკდ-5-რ“). ბევრი რამ კეთდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ფართოვდება შემოქმედებითი კავშირები ქვეყნისა და საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან.

ამჟამად ინსტიტუტის კოლექტივი მარცვლეულს, სამარცვლე პარკოსანი, საკვები კულტურების, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების ახალ საშუალებებზე, ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მილოცვა და კეთილი სურვილები საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს აყენებს ახალი ამოცანების წინაშე, რომელთა წარმატებით გადაჭრაში ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივიც შეიტანს თავის წვლილს.

ამიტომ ახლა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ენერგიულად ვიბრძოლოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, სიახლეთა დანერგვისათვის, შევიმუშაოთ ღონისძიებათა ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი წლის მანძილზე მიწის ინტენსიურ გამოყენებას, ერთიელი ფართობიდან მაქსიმალური მოსავლის მიღებას და ა. შ. მოკლედ, ჩვენი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა დაეხმაროს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალი სასახელო წარმატებების მოპოვებაში.

მ. ღვინჯილია,

ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამიერკავკასიის სასელექციო ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

შთაგვაგონა, ფრთები შეგვასხა

ყოველი ჩვენგანის გულში მადლობის გრძნობა გამოიწვია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლოცვამ, რომელიც განუზომლად ზრდის საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პასუხისმგებლობას მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების საქმეში.

სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ მათს ამ ბოლოდროინდელ შესანიშნავ მიღწევებში მახარაძელთა წვლილიც არის. წლეულს ჩვენი რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 81.320 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 72 ათასისა, მათ ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე დაამზადეს 291.800 ტონა ჩაის ნედლეული, ხოლო მთლიანად ხუთწლიანი დავალება ვადამდე დიდი ხნით ადრე — მიმდინარე წლის 20 ივლისისათვის შესასრულეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნატანების, შრომის, კონჭკათის, ძიმითისა და სხვა კოლმეურნეობების, ლაითურის, ნარუჯის, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა. დიდად სასიხარულოა, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ჩაის კოფის ოსტატებს, სოციალისტური შრომის გმირებს, კომუნისტური შრომის დამკვრელებს — ტ. ჩხაიძეს, ა. ქურიძეს, ლ. გოგოტიშვილს, დ. ტაკიძეს, ზ. ბაჯელიძეს და სხვებს წარმატებით უბამენ მხარს ახალგაზრდები ზ. გუჯაბიძე, ც. თალაქვაძე, ზ. გოგიტაური, კ. ლომიძე, ე. თავდიშვილი, ე. ერქომაიშვილი, ე. ქანთარია, ლ. ღლონტი და მრავალი სხვა.

ჩვენს მეჩაიეებს დიდად უწყობს ხელს ფოთლის კრეფის მექანიზაციის ფართოდ დანერგვა. „საქართველოს“ საჭეს ბევრი მოწინავე მშრომელი მართავს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალები, რომლებიც ტოლს არ უდებენ მამაკაცებს. ერთ-ერთი ასეთია, მაგალითად, 20 წლის ნაგომრელი ქალიშვილი, მეჩაიე მექანიზატორი ცისანა თალაკვაძე, რომელიც წელს მივიღეთ სკკპ რიგებში. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩა, დაეუფლა „საქართველოს“ მარფვის ხელოვნებას, ხოლო შემდეგ მექანიზატორთა ახალგაზრდული რგოლი შექმნა, მან და რგოლის წევრებმა — ნინა მეგრელიძემ, ნინო ნაჭყებიამ, იამზე სარიშვილმა საგეგმო 116 ტონის ნაცვლად წელს 131 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაბარეს მრეწველობას. აქედან მერგოლურის წილად 45 ტონა ნედლეული მოდის. ყოველწლიურად ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს აღწევს ნატანელი მექანიზატორი ქალი დინარა მახარაძე, სწრაფად იზრდება მცირე მექანიზაციის წვლილიც.

განა მარტო მეჩაიეებმა ისახელეს თავი! მათ შესანიშნავად აუბეს მხარი ჩვენმა მეციტრუსეებმა, რომლებმაც ასევე ვადამდე ერთი წლით ადრე გაანაღდეს ხუთწლიანი გეგმა — 1980 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებული 65.853 ტონის ნაცვლად სახელმწიფომ მახარაძელებისაგან უკვე ახლა მიიღო 88.300 ტონა ციტრუსი. წლეულს გეგმით გათვალისწინებული 22 ათასი ტონის ნაცვლად უკვე მოკრეფილია 30 ათასი ტონა ციტრუსი, ხოლო კრეფის სეზონის ბოლომდე კიდევ სულ ცოტა 6 ათასი ტონის დამზადება გვაქვს ნავარაუდევი. ეს მიჯნა არ არის, რადგან ძალიან ბევრს გვავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მისი მოთხოვნების შესრულებისათვის ბევრი რამ გაკეთდა და მომავალშიც გაკეთდება, რაც უთუოდ გაზრდის ჩვენს წარმატებებს.

წლევანდელ წელს მხოლოდ ჩაისა და ციტრუსების მაღალი მოსავლის მიღებით როდი აღვნიშნავთ. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სიმინდის, აბრეშუმის პარკის, ყურძნის, კუკოვანი ხილის, სუბტროპიკული ხურმის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებებიც...

ყველასათვის კარგად არის ცნობილი მახარაძელთა ინიციატივა რაიონის მოსახლეობის მხოლოდ საკუთარი წარმოების ხორცით დაკმაყოფილების საქმეში. რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ ამ მეტად პასუხსაგები ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. წელს სახელმწიფოს უკვე ჩავაბარეთ 1634 ტონა ხორცი. წლის ბოლომდე დარჩენილ დროში აუცილებლად შევასრულებთ ვალდებულებას — ამ მაჩვენებელს 2 ათასს ტონამდე ავიყვანთ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხუთწლიანი დავალება ხორცის დამზადების დარგშიც ვადაზე დიდი ხნით ადრე შევასრულეთ — სახელმწიფოს უკვე მივყიდეთ 5.444 ტონა ხორცი. ამ მხრივ წარმატებების მოპოვებაზე ფიქრის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ მახარაძელმა საკვებმომპოვებლებმა, რომელთა დევიზია „დავაკმაყოფილოთ მეცხოველეობა მხოლოდ საკუთარი წარმოების ხორცით“, წლეულს კომუნისტების მეთაურობით გადაჭარბებით შესრულეს თივის, სილოსის, სენაჟის, ჩალის დამზადების გეგმები, შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა.

მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე ხუთწლედის დასკვნითი — 1980 წლისათვის, მათ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს ჩაბარონ 80 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 25 ათასი ტონა ციტრუსი, 17 ათასი ტონა ხილი, 1000 ტონა მარცვლეული, 2.700 ტონა ხორცი, 3.500 ტონა რძე....

განუხრელად ვითარდება რაიონის მრეწველობაც, მაღლდება მშრომელთა კულტურული ცხოვრების დონე, უმჯობესდება მათი შრომის პირობები.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სერიოზული ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტისათვის ამთავითვე ვემზადებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მილოცვა განუზომლად ზრდის მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის და, კერძოდ, მახარაძის რაიონის მშრომელთა პასუხისმგებლობას. ისინიც ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ წარმატებით შეეგებონ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

დ. დვალიშვილი,

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ფურცლიდან

ასე იპყრობდნენ ყამირის სივრცეებს

საბჭოთა ადამიანების გმირობის ამაღელვებელი ამბავი

ვარშავა, 18 დეკემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა ვარშავაში პოლონურ ენაზე, იმ ფასდაუდებელი გამოცდილების ფართო განზოგადებას წარმოადგენს, რომელიც შეიძინა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც აღაფრთოვანა, დარაზმა და ფრთა შეასხა ადამიანებს პურის უხვი მოსავლისათვის საბრძოლველად, წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „იდეოლოგია და პოლიტიკა“.

„ყამირი“, ხაზს უსვამს ჟურნალი, — ეს არის საბჭოთა ადამიანების გმირობის ამაღელვებელი ამბავი, რომლებიც პარტიის მოწოდებით საგმირო საქმეებს სწადიან და პარტიის ხელმძღვანელობით დიად გამარჯვებებს აღწევენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ეს არის წიგნი მუშაობის ლენინური სტილის შესახებ, რომელშიც მონოლითურად ერწყმის ერთმანეთს მრავალი წლის გამოცდილება, უძნელესი პრობლემების პრინციპული გადაჭრის, ხალხის ფართო მასების ინტერესებისათვის პარტიის ხაზის თანამიმდევრული განხორციელების უნარი.

„ყამირში“ მკაფიოდ არის დახატული იმ კომუნისტების სახე, უშუალოდ რომ მონაწილეობდნენ ყაზახეთის — ამჟამად საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი ბეღლის უკიდეგანო ყამირი სივრცეების დაპყრობაში. კონკრეტულ ადამიანთა საქმიანობა გვიჩვენებს, თუ რა ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა კომუნისტების პარტია — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. ამავე დროს მკითხველის წინაშე წარმოდგება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი უსაზღვრო და ურყეველი რწმენა კომუნიზმის გამარჯვებისადმი, უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, პრინციპული დამოკიდებულება კადრებისადმი, გულისხმიერი ზრუნვა ადამიანებისათვის.

წიგნს „ყამირს“, ისევე როგორც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სხვა ნაშრომებს, წარუვალი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა ადამიანებისათვის, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების მშრომელებისთვისაც. ამ მოგონებებში გაშუქებულია საბჭოეთის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრესი გამოცდილება, ის უდიდესი შენაძენია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი „იდეოლოგია და პოლიტიკა“.

სიონისტთა მორიგი ავკადრება

ნიკოზია, 18 დეკემბერი. შაბათს, 15 დეკემბერს, კვიპროსში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ორი აქტივისტი მოკლეს. ამ დანაშაულმა კვიპროსის საზოგადოებრიობის გულისწყრომა გამოიწვია.

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია გადაჭრით გმობს ამ შემზარავ ბოროტმოქმედებას, რომელიც პალესტინის არაბი ხალხისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წინააღმდეგ არის მიმართული, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პარტიის განცხადებაში.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

18 დეკემბერი

ბრიუსელი. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების მეტალურგიულ, ლითონდამამუშავებელ, სამშენებლო და მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგებში. ევროპის გაერთიანებათა კომისიის მონაცემებით, ამ დარგებში დასაქმებულ მუშათა რიცხვი 1974 წლის აპრილიდან 1979 წლის აპრილამდე 2,8 მილიონით — 39,4 მილიონიდან 37,1 მილიონამდე შემცირდა.

ნიუ-იორკი. გამარჯვებით დამთავრდა ოჰაიოს შტატის ქალაქ პაიქტონის „გუდირ ტაირ ენდრაბერ კომპანის“ მუშათა შვიდი თვის გაფიცვა. დაახლოებით 1500 მშრომელმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, რომელიც მიმდინარე წლის 3 მაისს დაიწყო, ხელფასის მომატებას მიაღწია.

ბრაზილია. საშიში ტემპით იზრდება ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო ვალი. მარტო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე იგი გაორკეცდა და 140 მილიარდ დოლარს მიაღწია, იუწყება ბრაზილიის ჟურნალი „ვეჯა“. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ბანკების ყველაზე დიდი მოვალეა ბრაზილია, რომლის წილად ამ თანხის მესამედზე მეტი მოდის.

სესხისა და კრედიტების პროცენტების გადასახდელად კონტინენტის ქვეყნები იძულებული არიან დახარჯონ სახსრები ვალუტით, რაც კიდევ უფრო ზრდის დავალიანებას.

ალჟირი. ალჟირის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სულ უფრო მეტი წევრი ფულაში გადადის საცხოვრებლად სახელმწიფოს მიერ მათთვის აგებულ კეთილმოწყობილ დაბებში. მაგალითად, თიარეთის ვილაში (ოლქი), რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი მეცხოველეობის რაიონია, შექმნილია 12 ათასი დაბა. ორი ათასზე მეტი გლეხის ოჯახმა მიიღო ახალი სახლები.

დელი. დაახლოებით 10 მილიარდი რუპია მოახმარა უკანასკნელ ათწლეულში სოფლის რაიონების ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომპორაციამ ასობით პროექტის განხორციელებას ინდოეთის სხვადასხვა შტატში. ამ პერიოდში კოოპერაციის მიერ ელექტრიფიცირებულია 50 ათასზე მეტი სოფელი. მათი უმრავლესობა განლაგებულია ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ რაიონებში. ამჟამად ელექტრიფიცირებულია ინდოეთის სოფლების თითქმის 40 პროცენტი.

გარიგება ხალხის ხარჯზე

ვაშინგტონი, 18 დეკემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კარტერთან მოლაპარაკებისათვის ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი. მისი ვიზიტის წინ თეთრმა სახლმა ინგლისის საფაბრიკო კოლონიური პოლიტიკის საამებლად გადაწყვიტა გააუქმოს ეკონომიკური სანქციები როდეზიის წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი აშკარად იმისათვის მადლობის ნიშნად გადაიდგა, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმებს.

ამერიკა - ირანის ურთიერთოგის გამო

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. შეერთებული შტატები აძლიერებს ზეგავლენას თავის „მოკავშირეებზე“ და ამით ცდილობს აიძულოს ისინი უფრო მკაცრ პოზიციას დაადგნენ ირანის მიმართ. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმოწმებს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს და იტყობინება, რომ ვაშინგტონმა მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებს მოუწოდა „ინდივიდუალურად ზემოქმედებდნენ ირანზე ისეთი ღონისძიებების საშუალებით, როგორიც გარკვეული საქონლის გაყიდვის აკრძალვაა“.

ტოკიო, 18 დეკემბერი. „შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად მოსთხოვა იაპონიას თანამშრომლობა ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებაში“, — წერს კიოდო ცუსინის საagენტო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესპანის, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის რ. კარსუელის ტოკიოში ვიზიტს აშუქებს.

ამის პასუხად იაპონიის მხარემ მხოლოდ ის განაცხადა, რომ „ესმის“ შეერთებული შტატების პოზიცია, მაგრამ როგორც კიოდო ცუსინი ხაზს უსვამს, „არ სურს დაეხმაროს ვაშინგტონს“. თეთრი სახლის ემისარს, კერძოდ მიუთითეს, რომ იაპონია დიდად არის დამოკიდებული ირანული ნავთობის იმპორტზე.

თეირანი, 18 დეკემბერი. გუშინ ირანის ტელევიზიით გამოსვლისას აიათოლა ხომეინიმ თქვა, რომ გამორიცხულად მიაჩნია საშობაო დღესასწაულისათვის ამერიკის თეირანის საელჩოს თანამშრომელთა განთავისუფლება, რომლებიც მძევლად ჰყავთ ირანელ სტუდენტებს. სტუდენტები, თქვა მან, მოითხოვენ ირანში დაბრუნონ შაჰი გასასამართლებლად, თორემ ჯაშუშობისათვის მძევლებს გავასამართლებთო. სტუდენტთა ამ მოთხოვნას მხარს უჭერენ ირანელი ხალხი და მთავრობა. ხომეინიმ კვლავ გაიმეორა, ამერიკის შეერთებული შტატების თეირანის საელჩო „ჯაშუშთა ბუდეა“, მისი თანამშრომლები კი ჯაშუშები არიანო.

გვატემალინელებს საკრედესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები

ფოტოინფორმაცია

დიდ ბრიტანეთში სულ უფრო ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა კონსერვატორთა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ. ლონდონში, ბლეკპულსა და სხვა ქალაქებში იმართება სოციალური საჭიროებებისათვის ასიგნებათა შემცირების, უმუშევრობისა და მახინჯი დათხოვნების საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია ლონდონში.

ა. სტეპანენკოს ფოტო. (საკრედესის ფოტოქრონიკა).

პეკინელი მარიონეტების საძრახისი როლი

ტოკიო, 18 დეკემბერი. სიანუკს, რომელიც ამ ბოლო დროს თავისი ენერგიული საქმიანობით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მხარდაჭერის შეპირებას ცდილობს, წერს გაზეთი „აკახატა“, ხელი არ გაუნძრევია იმისათვის, რომ კამპუჩიელ ხალხს ასცდენოდა სასტიკი პოლიტიკა, პოლ პოტისა, რომელმაც ქვეყანაში მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. იმ იმედით, რომ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩაერევიან, სიანუკი აპირებს შეაკოწიწოს ბანდა ლტოლვილი რეაქციონერებისაგან და შექმნას ეგრეთ წოდებული „ნეიტრალური“ კამპუჩია თავისი ხელმძღვანელობით.

სიანუკის იმედი აქვს პეკინსაც, რომელიც მიხვდა, რომ პოლ პოტის რეჟიმი დაემხო, წერს „აკახატა“. ამ დროს სიანუკს ქვეყანაში არა აქვს არავითარი დასაყრდენი და მხარდაჭერა, არაფრით არ განსხვავდება პოლ პოტისაგან, გადაყოლილია მხოლოდ თვითრეჟიმას და თავის თავის მარიონეტად გამოყენების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, როგორიც ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლებიც კამპუჩიის სამინაო საქმეებში ერევიან. ეჭვი არ არის, ხაზს უსვამს იაპონიის კომპარტიის ორგანო, რომ კამპუჩიელი ხალხი, რომელიც ახალ ცხოვრებას აშენებს, ამგვარ თავდაჯერებულ გულისთქმას გაუქარწყლებს სიანუკს.

ხალხური თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა გრძელდება. პროფკავშირთა კულტურის სასახლე მაყურებელს ვერ იტევს. საქართველოს თითოეულ კუთხეს თავისი გულშემატკივარი ჰყავს, დარბაზში მსხდომნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ აღტაცების გამოხატვაში, რომელსაც ამ ოლიმპიადის მონაწილენი იმსახურებენ.

გუშინწინ კონცერტის პირველი განყოფილება მთლიანად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს დაეთმო, ერთმანეთს ცვლიდნენ აფხაზური ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ახალგაზრდა და უხუცესი შემსრულებლები, გუდაუთის, გალის, სოხუმის, გაგრის თვითმოქმედი კოლექტივები.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა აღნიშნა, რომ წლევანდელ ოლიმპიადაზე აფხაზეთის მოცეკვავეთა გუნდი მეტად საინტერესოდ წარმოსდგა. განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი სოხუმელმა მოცეკვავეებმა. ცეკვა „ქართული“ დახვეწილად, უნაკლოდ შეასრულეს ნ. დავითაიამ და ნ. კაკაბაძემ. კარგად გამოვიდა გუდაუთის უხუცეს მოცეკვავეთა გუნდი.

მაყურებელს თავისი ხელოვნება უჩვენეს გორის, ახმეტის, გარდაბნის, ლენტეხის, თელავის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებმა.

ოლიმპიადას ესწრებოდა საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირული გაერთიანების დელეგაცია. გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ტ. ირშბეგმა თქვა: „ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნინახმა, საბჭოთა ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს ხალხურ შემოქმედებაზე ბევრი გვსმენია, მაგრამ ახლა საკუთარი თვალით ვიხილეთ ყოველივე და დავრწმუნდით, თუ როგორი მდიდარი ყოფილა ქართული ხალხური თვითშემოქმედება. ასე გვგონია, აქ წარმოდგენილი გუნდები პერიფერიებიდან ჩამოსული თვითმოქმედი კოლექტივები კი არ არიან, არამედ პროფესიული გუნდები. სამაგალითო და მისაბაძია თქვენი პროფკავშირების სასახლის თაოსნობაც. ჩვენც ვფიქრობთ, მოგბაძოთ, — თავი მოვუყაროთ ხალხში გაბნეულ სიმღერებს, შემოვუნახოთ შთამომავლობას. ამაზე მეტი სიკეთე რა უნდა იყოს!.. ჩინებულია თქვენი სიმღერები, ცეცხლოვანი და შთამბეჭდავია ქართული ცეკვები, თვალს სიამოვნებს ნაირფერი კოსტუმები, ჩვენი დელეგაციის საერთო აზრია, რომ დღეს, მართლაც, საუკეთესო კოლექტივებს მოვუსმინეთ“.

ლ. ქინჭლაძე.

სტუმართა ჯაში — ჩვენს საუნჯეს

ხალხური თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა

სურათებზე: ზემოთ — გამოდის გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის უხუცეს მოცეკვავეთა ანსამბლი, ქვემოთ — ჭუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების მომღერალ გოგონათა გუნდი.

გ. კიკვაძის (საქინფორმი) და ხ. კილაძის ფოტო.

სიმღერა ადამიანზე

**ბ. ბ. ბ.